15/01/2026

MES 2 26 0000026849

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25.12.2025
სხდომის დაწყების დრო: 11:10
სხდომის დასრულების დრო: 15:19
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

აქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ვაჟა კელიხაშვილი** - (ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
3. **ბონდო გასვიანი -** შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუ-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
4. **თეა მჭედლური** -შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
5. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
6. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;

8. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
9. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
10. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
11. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი.
12. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
13. **მზია წიკლაური** -შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
თათია მამრიკიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თეა ჯუღელი - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.
რომეო გალდავა - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე.
დევი შონია - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
ნესტან კეკელია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი.
ნანა გულუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ინფორმატიკის მიმართულბის პროფესორი.
მარინა ზარქუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
ანტონ ჩიქოვანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
ლელა მირცხულავა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ივანე ჯაგოდნიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნოე ხოზრევანიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დეკანი;
ლიანა თარგამაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;

თამარ ქობლიანიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნინო ლომიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
შალვა კელეპტრიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
მაია კილაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
აკაკი გუნცაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის მენეჯერი;
ლია ყოჩიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილე;
ქეთევან როყვა, თინათინ დარსაველიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრონომიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები;
მანანა ცინცაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველების“ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი;
ნათელა მაჭავარიანი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
თინათინ ეპიტაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამკურნალო მცენარეები და მათი წარმოება“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
თამარ კაჭარავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამკურნალო მცენარეები და მათი წარმოება“ მაგისტრატურის და “აგრონომია” დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი;
ვასილ ღლიღვაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ნანა ხუნდაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
თემურ ბარაბაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ვახტანგ წივწივაძე - კანცლერი;
კახაბერ კორძაია - რექტორი;
მარინა გედევანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ოლან გოცირიძე - ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის საბაკალავრო და მევენახეობისა და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი;
დავით მაღრაძე - მევენახეობისა და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;
ირმა მდინარაძე - ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
მარიკა მიქიაშვილი - ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი

თამარ გარდაფხაძე - რექტორი;
ნათია გოგოლაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან კვიცარიძე - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
თამარ პაპაშვილი - საფინანსო სამსახურის უფროსი;
სალომე ონიანი - პროგრამების ხელმძღვანელი;
ნანი არაბული - პროფესორი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით
ნონა ზუმბაძე - ხარისხის აუდიტი
ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო ჯოჯუა - რექტორის მრჩეველი ხარისხის მიმართულებით
მაგდა მემანიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები
Seifedine Kadry - სეიფედინ კადრი – I და II საკითხი;
ნანი არაბული - I საკითხი;
გიორგი იაშვილი (შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი) - I საკითხი;
ქრისტინე ჩიხლაძე - I საკითხი;
თამარ თხელიძე - I საკითხი;
მიხეილ რუხაია - II საკითხი;
მარინა რაზმაძე - II საკითხი;
ანა მიხელიძე - II საკითხი;
ალბერტუს რეტნანტო (Albertus Retnanto) – III საკითხი;
ინგა ბოჭოიძე - III საკითხი;
გიორგი რობაქიძე - III საკითხი;
გიგა ხოსიტაშვილი - III საკითხი;
ტატო ლაფაური - III საკითხი;
ნინო ღაჭავა - IV საკითხი;
Patrice Lallemand (პატრის ლალემანდი) - IV საკითხი;
მარიამ ხომასურიძე - IV საკითხი;
ილია ბოცვაძე - IV საკითხი;
ნინო შოშიტაშვილი - V საკითხი.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ქეთევან აფთარაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:10 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო და "ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი საბაკალავრო და "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "აგრარული ტექნოლოგიების", "აგრონომიის" და "მეცხოველეობის" საბაკალავრო, "აგრარული ტექნოლოგიების", "მეცხოველეობის", "სამკურნალო მცენარეებისა და მათი წარმოების" სამაგისტრო, "აგრონომიის" და "მეცხოველეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის" საბაკალავრო, "ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო და "მევენახეობისა და მეღვინეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო და ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• **კი**

ცენტრის თანამშრომელმა დააყენა შუამდგომლობა მე-5 საკითხი (შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო და ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;) განეხილათ მეორე საკითხად, ხოლო მესამე საკითხი (სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "აგრარული ტექნოლოგიების", "აგრონომიის" და "მეცხოველეობის" საბაკალავრო, "აგრარული ტექნოლოგიების", "მეცხოველეობის", "სამკურნალო მცენარეებისა და მათი წარმოების" სამაგისტრო, "აგრონომიის" და "მეცხოველეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა), ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, განეხილად 2025 წლის 30 დეკემბერს ჩანიშნულ საბჭოს სხდომაზე. სხდომაზე დასმწრე საბჭოს წევრები დაეთანხმნენ შუამდგომლობას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო და "ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო და ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი საბაკალავრო და "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის" საბაკალავრო, "ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო და "მევენახეობისა და მეღვინეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი:
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო და "ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა 1

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინფორმატიკა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმატიკის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

პროგრამა 2

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინფორმატიკა;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმატიკის დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 60;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტმა სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ აკრედიტაცია ეხებოდა ინფორმატიკის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. რეკომენდაციები 2 ძირითად ნაწილად დაიყო, ერთი ეხებოდა კლასტერს, ხოლო მეორე ინდივიდუალურ პროგრამებს. 3.1 ქვე-სტანდარტში გაიცა შემდეგი კლასტერული რეკომენდაცია - რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა მიმდინარე პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მიზანმიმართული საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების საშუალებით. შემდეგი რეკომენდაცია გაიცა 4.2 ქვე-სტანდარტში - რეკომენდებულია, გაძლიერდეს ხელმძღვანელების ჩართულობა სამეცნიერო პუბლიკაციებში და კოლაბორაციულ კვლევებში, ასევე გაიზარდოს მონაწილეობა საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში. 4.3 რეკომენდაცია ეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას - რეკომენდებულია, დაინერგოს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წახალისების, ფულადი დაჯილდოვების ან აღიარების მკაფიო მექანიზმები კვლევებში მონაწილეობისთვის და საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისთვის. რეკომენდაცია 4.5 ეხება პროგრამისა და ფაკულტეტის ბიუჯეტს - რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ბიუჯეტში გაზარდოს ლაბორატორიული აღჭურვილობის, სტუდენტების პრაქტიკის და იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების ხარჯები. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკის განვითარებას და პროგრამების სამეცნიერო შედეგებს. ასევე რეკომენდებულია, პერსონალმა მოიძიოს დამატებითი დაფინანსების წყაროები იმისათვის, რომ მიიღონ დამატებითი შემოსავალი საერთაშორისო პარტნიორებისგან და ადგილობრივი ბიზნესებისგან. 5.1 რეკომენდაცია ეხება შიდა ხარისხის მექანიზმის შეფასებას, რომლის მიხედვითაც რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს ორივე პროგრამის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან და სამაგისტრო და სადოქტორო განათლების დონეებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, კონსულტაციების და აკადემიური პერსონალისთვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების მეშვეობით აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი აღნიშნულ პროცესს. რაც შეეხება ინდივიდულაურ პროგრამებს, „ინფორმატიკის“ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა 2 რეკომენდაცია. 1.4 სტანდარტში - „რეკომენდებულია, პროგრამებს დაემატოს საგნის წინაპირობები და კვლევის მეთოდების კურსი“. ხოლო 2.2 სტანდარტში - „რეკომენდებულია, პროგრამაში გაძლიერდეს სამეცნიერო კომპონენტი“. რაც შეეხება „ინფორმატიკის“ სადოქტორო პროგრამას, გაიცა სამი რეკომენდაცია 1.2; 2.1 და 2.2. კომპონენტში. 1.2 ქვე-სტანდარტში - „რეკომენდებულია, სწავლის შედეგებში "ა" და "ვ" შეიცვალოს ზმნები, იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს მე-8 დონეს“. 2.1 ქვე-სტანდარტში - „რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს დაემატოს ყველა საჭირო მოთხოვნა და გამოქვეყნდეს ვებ - გვერდზე, რათა დაშვების წინაპირობები უფრო გამჭვირვალე გახდეს სტუდენტებისთვის“. ხოლო 2.2 ქვე-სტანდარტში „რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს კომპონენტებს, რომლებიც სტუდენტებში განავითარებს სადოქტორო საფეხურის შესაბამის კვლევით კომპეტენციებს“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
რომეო გალდავამ 1.5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსებობს მაგისტრატურის სტანდარტი და ექსპერტებმა ახსენეს, რომ ამ სტანდარტის მიხედვით არის აგებული პროგრამა. დაწესებულება მიიჩნევს, რომ საფეხური აკმაყოფილებს მოთხოვნებს. რაც

შეეხება სადოქტორო პროგრამას, ის იყო აკრედიტებული გასულ წელს. თვითონ სტანდარტი სადოქტორო დონის არ არსებობს, მაგრამ არსებოს სწავლების სტანდარტი, რომელიც არის ახალი მიღებული. წინა აკრედიტაციის პერიოდში არ ყოფილა რეკომენდაციები სადოქტოროსთან დაკავშრებით, შესაბამისად პროგრამამ ჩვეულებრივად მიიღო ეს საკითხი და გააგრძელა ფუნქციონირება ამ მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ქეთევან აფთარაშვილმა კითხვა დასვა 5.1 კომპონენტთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია რეკომენდაცია, დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამაგისტრო პროგრამა არის სრულ შესაბამისობაში მეშვიდე დონესთან. ამიტომ მას აინტერესებდა, ეს იყო კლასტერული რეკომენდაცია თუ მხოლოდ სადოქტორო პროგრამას მიემართებოდა.

ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სწავლის შედეგები სილაბუსებში გარკვეულწილად არ არის ისე ჩამოყალიბებული და ფორმულირებული, რომ მეშვიდე და მერვე დონეს შეესაბამებოდეს. სამაგისტრო საფეხურს ადმინისტრაცია ამართლებს იმით, რომ სწავლის შედეგები არსებული დარგობრივი სტანდარტიდან არის ზუსტად გადმოწერილი, თუმცა კვალიფიკაცია და ჩარჩო ძალიან ნათლად განმარტავს თუ როგორ უნდა იყოს ფორმულირებული მეშვიდე და მერვე დონეების სწავლის შედეგები. აქედან გამომდინარე ექსპერტებმა საჭიროდ ჩათვალეს ამ რეკომენდაციის გაცემა. უფრო კრიტიკულად დგას ეს საკითხი სადოქტორო საფეხურზე, რადგან მას დარგობრივი სტანდარტი არ არეგულირებს.

მაქსიმ იავიჩმა კითხვით მიმართა ექსპერტებს 3.1 კომპონენტთან დაკავშირებით. როგორც აღნიშნულია, დოკუმენტებში სტუდენტები ჩართულნი არიან შოთა რუსთაველის სახელობის გრანტის პროგრამებში, ევროპულ გრანტებში, აქედან გამომდინარე, მას აინტერესებდა, თუ რატომ გაიცა სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერების რეკომენდაცია.

თამარ თხელიძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მათი ცნობადობა არ იყო იმდენად მაღალი ამ პროექტებთან დაკავშირებით და მათი ჩართულობაც იყო ძალიან დაბალი. სადოქტორო პროგრამების სტუდენტების ჩართულობა უფრო მაღალი იყო და გამომდინარე აქედან ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ გაძლიერებულიყო ეს ნაწილი.

რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ გაძლიერება ყველა პროექტს სჭირდება, თუმცა ნამდვილად არიან სტუდენტები საგრანტო პროექტებში ჩართულნი.

მაქსიმ იავიჩმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით ერთი რეკომენდაცია ეხებოდა კვლევის მეთოდების კურსის დამატებას და მეორე - კვლევის გაძლიერება. მას აინტერესებდა რა სხვაობაა იყო ამ ორ რეკომენდაციას შორის და არის თუ არა საჭირო ორივეს არსებობა.

ნანა არაბულმა აღნიშნა, რომ შეიძლება საგნის დამატებით მოგვარდეს საკითხი ან არსებული თემატიკების გაძლიერებით, ამიტომ უნივერსიტეტს აქვს თავისუფალი არჩევანი, რომელ მეთოდსაც უნდა იმას აირჩევს.

ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ ახალ სტანდარტთან მიმართებით სადოქტორო პროგრამაზე აღნიშნული არის, რომ მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება სადოქტორო პროგრამაზე მიღებასთან დაკავშირებით განსაზღვრული აქვს დაწესებულებას. ეს დოკუმენტი ნამდვილად არის, თუმცა უშუალოდ მიღების წინაპირობებში არ იყო მითითებული ამ პროგრამასთან დაკავშირებით როგორ რეგულირდება აღნიშნული საკითხი. მას აინტერესებდა აქაც მოქმედებდა თუ არა მინიმალური სტანდარტი თუ სხვა დოკუმენტით რეგულირდებოდა ეს საკითხი.

რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ სტანდარტი მოქმედებს ყველა სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით, უბრალოდ პროცესის დაწყების წინ იდება ინფორმაცია.

ნანა არაბულმა განმარტა, რომ ნამდვილად გათვალისწინებული აქვს უნივერსიტეტს სადოქტორო პროგრამის სტანდარტი. ექსპერტებმა გამოითხოვეს 2025 წლის დეკემბრის

მიღების ჩანაწერები და ნამდვილად ჰქონდათ თეზისები წარმოდგენილი კანდიდატებს. უბრალოდ მეტი გამჭირვალობისთვის, კარგი იქნება, თუ ეს ინფორმაცია ატვირთული იქნება ონლაინ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:37
დასრულების დრო: 12:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლისთავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმატიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 25 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლისთავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის

№223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 25 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება კლასტერის ყველა პროგრამისათვის ძალაში შედის 2025 წლის 25 დეკემბერს.

მეორე საკითხი:
შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო და „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა 1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მეცნიერება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მეცნიერება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 240;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ქეთევან ნანობაშვილმა, აცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ძირითადად შეეხებოდა 1.4 და 1.5 სტანდარტებს, ეს გახლავთ ცალკეული კურის და ცალკეული საგნის დამატება. 1.5 კომპონენტთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი რეკომენდაცია - „რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს „კომპიუტერული მეცნიერების“ სასწავლო კურსის შინაარსი და ერთიანად გადაერქვას სახელი უფრო მართებული სახელწოდებით“. ამავე სტანდარტთან მიმართებით რეკომენდებულია, რომ განახლდეს ლიტერატურა ცალკეულ კურსებთან დაკავშირებით. 2.3 კომპონენტში გაიცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც რეკომენდირებულია, სილაბუსების გადახედვა, რათა ისინი ასახავდნენ შესაბამის სწავლების და სწავლის მეთოდებს. 3.2 კომპონენტის რეკომენდაციის თანახმად რეკომენდებულია, პროგრამაში დაამატოთ პროგრამული ინჟინერიის (Software Engineering) კურსი ან მისი შესატყვისი თემები. 4.4 ქვე-სტანდარტში გაიცა 2 რეკომენდაცია, ერთის თანახმად რეკომენდებულია, რომ ნიუუნიმ გაზარდოს ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდური წიგნებისა და სასწავლო მასალების რაოდენობა, რათა უზრუნველყოს თანაბარი წვდომა ყველა სტუდენტისთვის, ხოლო მეორე რეკომენდაციის მიხედვით - რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა განაახლოს და გააფართოვოს ინტერნეტ ინფრასტრუქტურა, რათა უზრუნველყოს სწრაფი და სტაბილური კავშირი მთელ კამპუსში. შემდეგი რეკომენდაცია ეხება „კომპიუტერული მეცნიერების“ ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის თანახმად დაწესებულებამ უნდა გადახედოს და შეცვალოს ხელფასების განაწილების სისტემა, მათ შორის სასწავლო დატვირთვის ადეკვატური ანაზღაურების სწორად განსაზღვრის გზით, რათა საათობრივი ტარიფები არასაკმარისად არ გამოიყურებოდეს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
თამარ გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა და რეკომენდაცია რჩევაში გადაიტანა. დანარჩენი რეკომენდაციები დაწესებულებისთვის მისაღებია და მათზე მუშაობა დაწყებული აქვს უნივერსიტეტს. ინტერნეტ-პაკეტები უკვე გაძლიერდა.
ნანა არაბულმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უმეტესი საკითხი უკვე გადაწყვიტა.
სალომე ონიანმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტების მხრიდან დაწესებულებამ მიიღო კარგი რჩევები და მეტად თვალსაჩინო გახდა პროგრამის ნაკლოვანებები. რეკომენდაციებზე მუშაობა უკვე დაწყებულია. დაწყებულია სილაბუსის შექმნა, გადახედილია პირველი კურის და შექმნილია უკვე ახალი თემატიკა. ლიტერატურის ნაწილში არსებული ტექნიკური ხარვეზებიც გასწორდა და დაწესებულება აპირებს, რომ ახალი წიგნები შეიძინოს ბიბლიოთეკისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც გაიცა ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით. დასკვნაში არის აღნიშნული, რომ ძალიან ბევრს პერსონალიდან არ გააჩნია დარგის მიმართულებით ხარისხი და ძალიან ბევრს საერთოდ ხარისხი არ გააჩნია. მას აინტერესებდა, ეს რჩევა იყო თუ რეკომენდაცია, ამასთან აინტერესებდა ექსპერტთა პოზიცია რამდენად სტაბილური შეიძლება იყოს პროგრამა ამის ფონზე.
მარიამ რაზმაძემ აღნიშნა, რომ ამ კუთხით დარგის სპეციალისტების ცოტა ნაკლებობა იყო, თუმცა ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ პროგრამა ახალია და ახლა ყალიბდება, ამასთან ინტერვიუზე საუბრისას დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა, რომ აუცილებლად მოხდება დარგის სპეციალისტების დამატება. ამიტომ ჩამოყალიბდა რჩევად აღნიშნული საკითხი.

ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, დოკუმენტში მითითებულია, რომ 28 აკადემიური პერსონალიდან დარგის სპეციალისტი არის მხოლოდ 6. მას აინტერესებდა ეს სტაბილური პროგრამის წინაპირობა შეიძლება თუ არა რომ იყოს.
მარიამ რაზმაძემ აღნიშნა, რომ პერსონალის CV-ებში საკმაოდ მდიდარი გამოცდილება არის წარმოდგენილი. იგივე დაადასტურა ინტერვიუებმაც.
ციური დურულმა მეორე რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც გაცემულია 5.2 ქვე სტანდარტში, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა რას გულისხმობდნენ ამ რჩევაში ექსპერტები, რადგან ცოტა გაუგებარია შინაარსი და ასევე, აინტერესებდა რომელი სტანდარტები იგულისხმებოდა საერთაშორისო თუ დარგობრივი.
სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ აღნიშნული რჩევა ძირითადად ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასებას. თვითშეფასების ანალიზში არსებული ციკლი მოიცავდა მხოლოდ ექვსწლიან პერიოდს და იმის გათვალისიწინებით, რომ ეს სფერო ძალიან სწრაფად ვითარდება ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ აღნიშნული 6 წლიანი ციკლი შემცირებულიყო 3 წლამდე, რადგან ეს არის საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი პერიოდი და ამ სამწლიანი ციკლის შემდეგ უნდა დადგინდეს რამდენად პასუხობს ეს პროგრამა მიმდინარე საჭიროებებს.
ციური დურულმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში იკვეთება რჩევა, ვიდრე აკადემიურ პერსონალთან.
ნათია გოგოლაურმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასება გრძელდება სტუდენტთა მიერ სწავლის დასრულებიდან კიდევ 2 წელი. ერთი წლის თავზე ჩადებულია თვითშეფასება და შემდეგ უკვე დამსაქმებელთა გამოკითხვა. მთლიანობაში ეს ციკლი 3 წელს მოიცავს, თუმცა პროგრამაზე პირველი მიღებიდან არის 6 წლიანი ციკლი, იმიტომ რომ მანამდე ფიზიკურად 3 წელიწადში ვერ განხორციელდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა.
ქეთევან აფთარაშვილმა 4.4 სტანდარტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. აღნიშნა, რომ სტანდარტით სავალდებულო ლიტერატურა უნდა იყოს წარმოდგენილი, რაც სილაბუსით არის მოცემული, თუმცა იქ ელექტრონული სახით იქნება თუ მატერიალურით ამ ნაწილში შეზღუდვა არ არის. შესაბამისად, მას აინტერესებდა, ექსპერტთა აზრით, ეს რეკომენდაცია შეიძლებოდა თუ არა რჩევის სახით ყოფილიყო წარმოდგენილი.
მარიამ რაზმაძემ აღნიშნა, რომ ადგილზე განხორციელდა ყველაფრის შემოწმება როგორც ბეჭდური ვერსიების, ისე ელექტრონულის. რიგ შემთხვევებში იყო ელექტრონული ვერსია და ბეჭდური ძალიან დიდ ნაკლებობას განიცდიდა, ამიტომ გადაწყდა, რომ ეს რეკომენდაციად დაფიქსირებულიყო, ვინაიდან სტუდენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ბიბლიოთეკაშიც გაეცნოს მასალას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:30
დასრულების დრო: 12:35

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლისთავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 25 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლისთავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 25 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება კლასტერის ყველა პროგრამისათვის ძალაში შედის 2025 წლის 25 დეკემბერს.

მესამე საკითხი:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი საბაკალავრო და "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა 1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: სამთო საქმე და მოპოვება 0724;

სწავლების ენა: რუსული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: სამთო საქმე და მოპოვება 0724;
სწავლების ენა: რუსული;
კრედიტების რაოდენობა: 120.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა დავით კაპანაძემ, აცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ალბერტუს რეტანტომ (Albertus Retnanto) აღნიშნა, რომ 1.1 კომპონენტში რეკომენდებულია, რომ დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დარეგულირდეს გამჭვირვალე და განსაზღვრული პროცედურებით და აღირიცხოს სისტემურად. რეგულარული შეფასებების განხორციელება კი უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას. მე-2 რეკომენდაციაში პროგრამის სწავლის შედეგებში პრაქტიკული და კვლევითი კომპეტენციების გაძლიერების მიზნით, რეკომენდებულია სწავლების პროცესში გაიზარდოს თანამედროვე მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება, მათ შორის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადების ეტაპზე. 4.1 კომპონენტის ფარგლებში ასევე გაიცა ორი კლასტერული რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაციის თანახმად, სამუშაო დატვირთვის სქემა უნდა ასახავდეს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სრულ სამუშაო დატვირთვას, მათ შორის — აკადემიური პერსონალისთვის განსაზღვრულ სამეცნიერო დატვირთვასაც. არსებული შეუსაბამობების გასწორების მიზნით რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციის საფუძველზე, გააანალიზოს სამეცნიერო პუბლიკაციებთან დაკავშირებული ინდიკატორები და დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები, რაც გააუმჯობესებს აკადემიური პერსონალის კვლევით პროდუქტიულობას და შესაბამისად, გაზრდის პერსონალის საერთაშორისო ცნობადობას. რაც შეეხება „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, გაცემულია 4 რეკომენდაცია. 1.2 კომპონენტის რეკომენდაცია უშუალოდ ეხება სწავლის შედეგებში პროფესიული უნარების ასახვას; 1.3 კომპონენტთან დაკავშირებით

რეკომენდებულია, რომ სისტემატიურად გაანალიზდეს შეფასების შედეგები; 1.4-ში რეკომენდებულია, რომ გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით და სტანდარტ 1.5-ში რეკომენდებულია, სწავლებისა და სწავლების პროცესში ინტეგრირდეს ინდუსტრიის სტანდარტების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას, გაიცა შემდეგი რეკომენდაციები. 1.2 სტანდარტში რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები. 1.3-ის მიხედვით პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამის უწყვეტი შეფასება, უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგებთან შესაბამისობა და საერთო აკადემიური ხარისხის გაძლიერება. 1.4 კომპონენტის რეკომენდაციის თანახმად, უნდა გამდიდრდეს სამაგისტრო პროგრამა თანამედროვე კომპონენტების ჩართვით, როგორიცაა მაგ. მონაცემთა ანალიტიკა. 1.5-ის მიხედვით რეკომენდებულია, პროგრამაში ინტეგრირდეს ინდუსტრიის სტანდარტების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. ხოლო რაც შეეხება 3.2 ქვე-სტანდარტს, ის რჩევებში გადავიდა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამები ხორციელდება „სამთო გეოლოგიის და მთის მდგრადი განვითარების“ ფაკულტეტზე.

შალვა კელეპტრიშვილმა აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც მხარეების ჩართულობას გულისხმობს, დაწესებულებაში სისტემატიურად ხორციელდება დაინტერესებულ მხარეთა (სტუდენტები, დამსაქმებლები) გამოკითხვა. მეორე რეკომენდაციაში არის მითითება, რომ თანამედროვე სწავლის მეთოდები უნდა გამოიყენოს უნივერსიტეტმა. დაკონკრეტებული არ არის თუ რომელ სწავლის მეთოდებზეა საუბარი, თუმცა დაწესებულება გაითვალისწინებს ამ რეკომენდაციას. შემდეგი რეკომენდაცია ეხება სამუშაო დატვირთვის სქემას. ტექნიკურმა უნივერსიტეტმა 2025 წლის ივნისში მიიღო დადგენილება, რომ მკაფიოდ ყოფილიყო გაწერილი აკადემიური პერსონალის მაქსიმალური საათობრივი დატვირთვა და ეს დოკუმენტები წარმოდგენილია საბჭოზეც. შემდეგი რეკომენდაცია ეხება საერთაშორისო პუბლიკაციებს, ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ 2025 წელს ივლისში ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა აკადემიური პერსონალის კონკურსი, სადაც დაკონკრეტებულია თითოეულ პოზიციაზე აკადემიური პერსონალის ვალდებულებები, მათ შორის, საერთაშორისო პუბლიკაციებთან დაკავშირებით და ფაქტობრივად ეს პროცესი დაწყებულია. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ისეთი უნარების ინტეგრირებას სწავლის შედეგებში, როგორიც არის კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთ პროგრამულ შედეგებთან მიმართებით არის ასეთი შედეგი, რომ „კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით ახდენს საკუთარი მოსაზრებების იდენტიფიცირების პრეზენტაციას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ნავთობ-ტექნოლოგიების სფეროში“, დაწესებულება მიიჩნევს, რომ ეს სრულად აკმაყოფილებს რეკომენდაციას. რაც შეეხება გუნდურ უნარებს, სტუდენტი ამას გამოიმუშავებს საწარმო პრაქტიკაზე. საწარმო პრაქტიკა არის როგორც საბაკალავრო დონეზე, ისე სამაგისტროზე. შემდეგი რეკომენდაცია ეხება სწავლის შედეგების შეფასებას. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ როდესაც ჩატარდება ანალიზი შემდეგ უნდა გაგრძელდეს ამის მონიტორინგი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ყველაფერი ისე ხდება, როგორც წესია. როდესაც ჩატარდა სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი დაწესებულებამ შეაფასა 2022-23 და 24-25 წლის შედეგები და კლასტერული პროგრამა 2025წლის 25 აპრილს წარადგინეს საბჭოზე. იმის ხაზგასასმელად, რომ ეს პროცესი ჯერ დამთავრებული არ არის დაწესებულებას აქვს ჩანაწერი, რომ გაგრძელდეს დაკვირვება მომდევნო სასწავლო წლებში აღნიშნულ სასწავლო კურსებში სტუდენტის მიღების შედეგებზე. ამ რეკომენდაციაში კი, ფაქტობრივად, იგივეს წერენ ექსპერტებიც. პროცესი ჯერ დამთავრებული არ არის და ზუსტად

იმ პროცესშია დაწესებულება, რაც აღნიშნულია რეკომენდაციაში. ეს რეკომენდაცია არის მაგისტრატურის დონეზეც. ამ შემთხვევაში დაწესებულებამ წარუდგინა ექსპერტებს სწავლის შედეგების მექანიზმი, მაგრამ მათ არ ჩაუტარებიათ ანალიზი, რადგან ეს პროგრამა ახალია, 2023 წელს იყო პირველი მიღება, ამიტომ ვერ ჩატარებოდა, რადგან არ იყო სტუდენტთა საკმარისი რაოდენობა. შესაბამისად, დაწესებულებისთვის ეს რეკომენდაცია არ არის მისაღები. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებას. ექსპერტების მოთხოვნა იყო, რომ ბლუმის ტაქსონომიიდან იქნას გამოყენებული ისეთი ზმნები, რომელიც მოქმედებას გვიჩვენებს. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ როგორც ნებისმიერ ენაში, ისე რუსულში ლექსიკის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი არის სინონიმია, აქედან გამომდინარე, დაწესებულებას მითითებული აქვს ის წყაროები, საიდანაც აქვს ამოღებული გამოყენებული ზმნები. შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას გამოყენებული აქვს ყველა ზმნა, რომელიც წარმოდგენილია დასკვნაში, თუმც სინონიმური ფორმებით. აქედან გამომდინარე, დაწესებულება მიიჩნევს, რომ ბლუმის ზმნებთან დაკავშირებული რეკომენდაცია სრულად დაკმაყოფილებულია. ხაზი გაესვა იმას, რომ დაწესებულება ეთანხმება შემდეგ რეკომენდაციებს: ანალიტიკური მონაცემების გამოყენება სილაბუსებში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სწავლებაში, როგორებიცაა ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლება, ნავთობის ინდუსტრიაში პროგრამული უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:58
დასრულების დრო: 13:22

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 25 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 25 დეკემბრამდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება კლასტერის ყველა პროგრამისატვის ძალაში შედის 2025 წლის 25 დეკემბერს.

მეოთხე საკითხი:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის" საბაკალავრო, "ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო და "მევენახეობისა და მეღვინეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა 1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქათული მევენახეობა და მეღვინეობა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მევენახეობისა და მეღვინეობის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0888 ინტერდისციპლინური - მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობას, ვეტერინარიას;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქათული მევენახეობა და მეღვინეობა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0888 ინტერდისციპლინური - მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობას, ვეტერინარიას;
სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 120;

პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მევენახეობა და მეღვინეობა;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მევენახეობისა და მეღვინეობის დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0888 ინტერდისციპლინური - მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობას, ვეტერინარიას;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 50;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა ქეთევან ნანობაშვილმა, აცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ნინო ღაჭავამ აღნიშნა, რომ ვიზიტი ჩატარდა კოლეგიალურ გარემოში. გაიცა რიგი რეკომენდაციები და დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის მოსმენის შედეგად მოხდა შემდგომ რეკომენდაციების გადახედვა. რიგ შემთხვევებში რეკომენდაციები გადავიდა რჩევებში და ამ სახით საბოლოო დასკვნაში წარმოდგენილია 2 რეკომენდაცია. ერთი გაიცა 3.1 ქვესტანდარტში, რომელიც ეხება სტუდენტთა მხარდამჭერ მექანიზმებს. ამ მიმართულებით აქცენტი გაკეთდა სამეცნიერო ბაზების ინფორმირებულობასთან დაკავშირებით, კერძოდ, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, ის გაიცა 1.3 ქვესტანდარტში და ეხებოდა სწავლის შედეგების განვითარებას და კომპეტენციების სწავლის შედეგებში ინტეგრირებას.
მარიამ ხომასურიძემ აღნიშნა, რომ მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამები დაწესებულებისთვის არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომელთა განვითარებისთვისაც არ იშურებს ძალისხმევას. თვითონ პროგრამები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პერსონალით. დაწესებულებაში არის საკმაოდ კარგი ინფრასტრუქტურა და რესურსები. ამასთან, სტუდენტები იყვნენ ძალიან კმაყოფილები, თუმცა სრულყოფილი არაფერი არსებობს და ექსპერტთა რჩევა არის, რომ გაგრძელდეს განვითარების პროცესი და კიდევ უფრო გაძლიერდეს პროგრამები. რეკომენდაციები და რჩევები იყო გაცემული იმასთან დაკავშირებით, რომ ხშირად მოხდეს უცხოელი მასწავლებლებისა და პედაგოგების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია, ასევე, შემუშავდეს ახალი ლიტერატურა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაცია არ იშურებს ძალისხმევას, რომ ეს დარგი მუდმივად განვითარდეს. ამის მაგალითია ის, რომ მოხდა ქრომატოგრაფის შეძენა, მას შემდეგ, რაც ერთი წლის წინ უნივერსიტეტმა გაიარა სადოქტორო პროგრამის აკრედიტაცია, აღნიშნული იყო ექსპერტთა რეკომენდაცია, რაც მომენტალურად შესრულდა. აღინიშნა ისიც, რომ ვიზიტი იყო კოლეგიალური. ამასთან, არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ აღწერა ყველა ის უზუსტობა, რაც რეკომენდაციებში იყო და ექსპერტებმა გაიზიარეს ეს პოზიცია, რის შედეგადაც რეკომენდაციათა დიდი ნაწილი ამოიღეს დასკვნიდან. შემცირებულია რჩევათა რაოდენობაც. რაც შეეხება რეკომენდაციებს, პირველი ეხება „მევენახეობა და მეღვინეობის“ საბაკალავრო პროგრამას, სადაც რეკომენდებულია, განივი პროგრამების განვითარება (ციფრული წიგნიერება, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია და პროფესიული ეთიკა). როგორც თავად ექსპერტები წერენ დასკვნის პროექტში წარმოდგენილი დოკუმენტაციის პროცესში ჩართულ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტი გამოყოფს ფინანსურ რესურსებს სამეცნიერო კვლევითი პროექტის დასაფინანსებლად. ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებთან თანამშრომლობით წარდგენილი პროექტები. აღნიშნული პრაქტიკა სტუდენტებს აძლევს მნიშვნელოვან პრაქტიკას განივითარონ კვლევითი და ტრანსვერსალური უნარები. ამასთან, „50 ECTS მოცულობის სასწავლო სადოქტორო კომპონენტი კვლევითი საქმიანობას ამყარებს მეთოდოლოგიური უნარებისა და ტრანსვერსალური კომპეტენციების განვითარებით“. კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამები განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტებში პრაქტიკული სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსვერსალური უნარების განვითარებას. სამივე პროგრამის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი თუ რა აქტივობები უნდა განახორციელონ სტუდენტებმა სამუშაო ჯგუფში მუშაობისას, ესენია: დისკუსია, დებატებში მონაწილეობა, ჯგუფური პროექტების მომზადება, გუნდური მუშაობის და კომუნიკაციის უნარები უვითარდებათ ამ დროს სტუდენტებს. სემინარის ჩაბარებისას ისინი პატივს სცემენ ერთმანეთს და იცავენ პროფესიული ეთიკის ნორმებს. რაც შეეხება საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს, პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული პროფესიულ საქმიანობას წარმართავს მიღებული ცოდნისა და უნარების გამოყენებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს დამოუკიდებლად, კომუნიკაციას ამყარებს კოლეგებთან საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებისა და ღირებულებების საფუძველზე, გამოავლენს საკუთარ საჭიროებებს, გამოავლენს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს ახალი ცოდნის მიღებით. სილაბუსში „ინოლოგია პირველი“ მეღვინეობის ტექნოლოგია მითითებულია, რომ საქმიანობის სფეროში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების დაცვით სტუდენტი წარმართავს თავის საქმიანობას, იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, ავლენს გუნდური მუშაობისთვის მზადყოფნას, მუშაობს თავისი და სხვების საჭიროებებისთვის. რაც შეეხება სასწავლო კურსს „ენოქიმიის საფუძვლები“ - ახდენს თავისი პროფესიული ცოდნის განახლებას დამოუკიდებლად, იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს, პროფესიულ ეთიკას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას. „ვაზის მავნებელ დაავადებათა ინტეგრირებულ მართვაში“ - იცავს სამართლებრივ რეგულაციებს, უსაფრთხოების წესებს, პროფესიულ ეთიკასა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. „ლაბორატორიული კურსი მევენახეობაში“ - საქმიანობას წარმართავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პროცესში ახდენს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას და „სპეციალური ღვინოების ტექნოლოგია“ - ახდენს პროფესიული ცოდნის განახლებას დამოუკიდებლად, იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს, პროფესიულ ეთიკას, აკადემიური კეთილსინდისიერებას. ამ და სხვა სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ჯგუფური სამუშაოები, ერთობლივი პროექტები, პრეზენტაციები და ა.შ.

დაწესებულება თვლის, რომ გამჭოლი კომპეტენციები სათანადოდ არის ინტეგრირებული კურსებში. რაც შეეხება ციფრული წიგნიერების განვითარებას, ამ მიზანს ემსახურება ფაკულტეტზე შექმნილი დარგობრივი ბიბლიოთეკა, ელექტრონული სახელმძღვანელოებით სარგებლობა და ის ახალი ათეულობით რიდერი, რომელიც მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის პროფესორების მიერ არის მომზადებული. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამის რეკომენდაციას, აღნიშნულია, რომ ბიბლიოგრაფიები უნდა გადაიხედოს სრული და განახლებული წყაროების ჩათვლით. კარგი იქნებოდა ექსპერტებს მითითებული ჰქონოდათ თუ რომელ სასწავლო კურსებზეა აქ საუბარი. სილაბუსებში მითითებულია, რომ ყველა ლექტორი ვალდებულია ახალი სემესტრის დაწყებამდე თუ კი რამე სიახლეა დარგში და სფეროში აუცილებლად შეიტანოს სილაბუსში. შესაბამისად, ეს ყველაფერი ნამდვილად არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, ლექტორებს აქვთ ვალდებულება, რომ სტუდენტებს მიაწოდონ ეს მასალა და დაავალდებულონ მათი გამოყენება დავალებების შესრულების დროს. რაც შეეხება ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც სიახლეა პროგრამისთვის ეს არის „მცირე მადნების მართვა“, „ლაბორატორიული კურსი მევენახეობაში“, „ლაბორატორიული კურსი მეღვინეობაში“, „ვაზის სელექცია, გენეტიკა“ და ა.შ. ზოგადად ამ დარგში ლიტერატურა არის ძალიან მწირი, შესაბამისად რიდერებია მომზადებული და არ არსებობს არცერთი ისეთი სილაბუსი პროგრამაში, რომლის სავალდებულო ლიტერატურაში, თუ კი ლიტერატურა არ არის, ინგლისურენოვანი მასალის საფუძველზე მომზადებულია პროფესორის რიდერი. გარდა ამისა, კანცლერის გადაწყვეტილებით ყველა პროფესორს აქვს უფლება მოამზადოს სახელმძღვანელო და უნივერსიტეტის სახელით გამოსცეს. ამას აფინანსებს დაწესებულება სრულიად. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სპეციალური სესიაში მონაწილე კურსდამთავრებულებმა არაერთხელ დაადასტურეს მათი ჩართულობა უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა პროექტში, ამასთან უნივერსიტეტში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემის მიხედვით საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების მონაწილეობა სამეცნიერო კვლევით პროექტებში საკმაოდ მაღალია. დაწესებულების წარმომადგენელი გამოეხმაურა რჩევებსაც. პირველი ის, რომ სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალის აღწერისას არის ტექნიკური უზუსტობა დაშვებული და წერია, რომ სულ 5 აფილირებული პროფესორი არის კვლევაში ჩართული, თუმცა ეს ასე არაა. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 10 პროფესორია ჩართული და აქედან 7 არის აფილირებული კვლევაში. ამასთან გაიცა რჩევა, რომ კვლევითი კომპონენტი სასურველია შეფასდეს კრედიტებით, თუმცა 2019 წლიდან კვლევითი კომპონენტის შეფასება და კრედიტების მინიჭება უკვე აღარ შეიძლება და შესაბამისად ეს რჩევაც უნდა იქნეს ამოღებული.
ოლან გოცირიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისგან ძალიან მაღალი მხარდაჭერა აქვს ფაკულტეტს. სამაგისტრო პროგრამებში ელექტრონული ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით ხაზი გაესვა, რომ ეს მხარე ყოველ ჯერზე კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს და განმტკიცდეს, თუმცა მიმდინარე წელს მევენახეობის ფაკულტეტმა მოიგო 4 საგრანტო კონკურსი რუსთაველის სამეცნიერო ფონდის. ყველა პროექტში ჩართული არის როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მაგისტრანტები, დოქტორანტები და ბაკალავრებიც კი.
ნინო ღაჭავამ აღნიშნა, რომ დაემატა გარემოებები, რამაც გამოიწვია სამაგისტრო პროგრამაში სამეცნიერო ბაზებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციის არსებობა. ის ყველაფერი, რაც დაწესებულებამ აღნიშნა, მოცემულია აღწერილობით ნაწილში. რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა შემდეგი, სტუდენტები ნამდვილად მონაწილეობენ პროექტებში და ეს მონაწილეობა არის აკადემიურ პერსონალთან ერთად. ისინი სამეცნიერო კვლევით პროექტებში არიან ჩართულნი და სამეცნიერო ბაზების გამოყენების ძალიან კარგი მაჩვენებელი აქვთ. ვიზიტის მიზანი არის ის, რომ ის დოკუმენტაცია, რომელიც გააზიარა დაწესებულებამ სააკრედიტაციო პაკეტში შემოწმდეს და კიდევ ერთხელ შეფასდეს. რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა ის, რომ სამაგისტრო სტუდენტებმა მყარად ვერ შეძლეს სამეცნიერო ბაზების დასახელება, რომელიც მრავლად არის ხელმისაწვდომი დაწესებულებაში. სამაგისტრო საფეხურზე იმიტომ გაიცა ეს რეკომენდაცია, რომ მაგისტრანტები მუშაობენ სამაგისტრო

ნაშრომზე, სადაც სამეცნიერო კომპონენტია გათვალისწინებული და მეტად მნიშვნელოვანია სამეცნიერო ბაზების გამოყენება. თუმცა ის, რომ მაგისტრანტები ლიტერატურას ხშირად იღებენ ხელმძღვანელებისგან ეს დასტურდება.
მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ პანელზე იყო 2 მაგისტრანტი, თუმცა ეს არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ ყველა შეიძლება რეკომენდაციის ქვეშ მოექცეს.
ქეთევან აფთარაშვილს აინტერესებდა, ხომ არ გამოუკვლევია დაწესებულებას საერთაშორისო ბაზებთან წვდომის სტატისტიკა ბოლო პერიოდში.
მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი მოთხოვნილი რომ ყოფილიყო, აუცილებლად მოხდებოდა ამის გაზიარება საბჭოს წევრებთან, რადგან ბიბლიოთეკარის პირდაპირი ვალდებულებაა, რომ ყოველი თვის ბოლოს გაანალიზოს რამდენი სტუდენტი სარგებლობს საერთაშორისო ბაზით.
ნინო ღაჭავამ აღნიშნა, რომ ნამდვილად არ გამოთხოვილა სტატისტიკასთან დაკავშირებით დამატებითი დოკუმენტაცია. ამის პარალელურად რეკომენდაცია განაპირობა იმან, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები უმეტეს შემთხვევაში ნაშრომზე მუშაობისას ლიტერატურას იღებდნენ თავად ხელმძღვანელების მიერ.
მარიამ ხომასურიძემ აღნიშნა, რომ დღეს სტუდენტებს აქვთ ბევრად უფრო გამარტივებული გზები, რასაც ჰქვია თანამედროვე კვლევებზე წვდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:02
დასრულების დრო: 14:15

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის" საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 25 დეკემბრამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 25 დეკემბრამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის " მევენახეობისა და მეღვინეობის" სადოქტორო, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მევენახეობისა და მეღვინეობის" სადოქტორო, საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 25 დეკემბრამდე.
საბჭოს გადაწყვეტილება ყველა პროგრამისათვის ძალაში შედის 2025 წლის 25 დეკემბერს.

მეხუთე საკითხი:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის

სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პროგრამა 1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ჟურნალისტიკა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჟურნალისტიკის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ნინო შოშიტაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გაცემული იყო მეორე და მეოთხე სტანდარტში. არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტებმა სრულად გაითვალისწინეს პერსონალთან დაკავშირებით არსებული არგუმენტირებული პოზიცია და ეს საკითხი გადავიდა რჩევებში. დანარჩენ რეკომენდაციები ძირითადად გაცემულია 1.4 და 1.5 ქვე-სტანდარტებში. ისინი ეხება პროფესიულ პრაქტიკას და საგამოძიებო ჟურნალისტიკას, რომელიც ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ უნდა ისწავლებოდეს ძირითადად საგნად. პრაქტიკის კომპონენტი წარმოდგენილია არჩევით ბლოკში და სასურველია მისი ძირითად ბლოკსი გადატანა, რადგან ეს ხელს შეუწყობს სტუდენტთა რეალურ გარემოში დასაქმებას. რაც შეეხება „საგამოძიებო ჟურნალისტიკის კურსს“, იმდენად ძლიერი სილაბუსია და იმდენად მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს, რომ რეკომენდირებულია მისი ძირითად კურსებში გადატანა. ინდივიდუალურ კვლევებთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომი ჯგუფურად არის წარმოდგენილი და ჩაითვალა, რომ ინდივიდუალური კვლევითი ნაშრომები იყოს წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში. ინტეგრაციული კვლევის მეთოდები სილაბუსში წარმოდგენილი არის, თუმცა საჭიროებს გაძლიერებას. ციფრული სწავლების კომპონენტი ცალკე არ არის წარმოდგენილი და უმჯობესი იქნება თუ დაემატება კურსს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ანა გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ რიგი რეკომენდაციები არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გადავიდა რჩევებში. პროგრამა სრულად შეესაბამება ჩარჩოს და

გაცემული რეკომენდაციები მხოლოდ სურვილი და რჩევებია. ასევე, ჟურნალისტიკის კუთხით არ არსებობს რაიმე დარგობრივი მახასიათებელი რაც დაარეგულირებს საგანი არჩევითი უნდა იყოს თუ სავალდებულო.
მაგდა მემანიშვილმა აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაციის თანახმად „პროფესიული პრაქტიკა და საგამოძიებო ჟურნალისტიკა“ უნდა ისწავლებოდეს ძირითად საგნებში. ქართულ ჟურნალისტიკის სფეროში არ არის რაიმე სტანდარტიზირებული მიდგომა, რომ პროფესიული პრაქტიკა ან საგამოძიებო ჟურნალისტიკა აუცილებლად უნდა იყოს სავალდებულო. ზოგან ის არჩევითია ზოგან სავალდებულო და ამას წყვეტს დაწესებულება. რაც შეეხება პროფესიულ პრაქტიკას, დაწესებულებას აქვს საკმაოდ ძლიერი მედია გვერდი, სადაც განთავსებულია სტუდენტების პრაქტიკული ნამუშევრები. ასევე ეს პროგრამა ორიენტირებულია იმაზე, რომ სტუდენტს შეეძლოს მედიაპროდუქტის შექმნა. სტუდენტები პრაქტიკული თვალსაზრისით ძალიან ბევრს მუშაობენ და შესაბამისად პროგრამაში სოლიდური რაოდენობით არის ჩართული პრაქტიკის კომპონენტი. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით საბაკალავრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ინდივიდუალურად. ამ მიდგომას არ ემხრობა დაწესებულება იმიტომ, რომ პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე პროგრამა ორიენტირებულია პროდუქტის შექმნაზე, თუმცა ის შვიდკაციანი ჯგუფები ჯერ სწავლობენ ბაზარს, შემდეგ ამის მიხედვით გეგმავენ თავიანთ სამუშაოს და შუალედურის მერე ამ ყველაფერს ახორციელებენ პრაქტიკაში. სილაბუსებში ლიტერატურის განახლების რეკომენდაციასთან მიმართებით ხაზი გაესვა, რომ ჟურნალისტიკა არ არის ის სფერო, სადაც ლიტერატურა მრავალფეროვანია, ამის მიუხედავად დაწესებულება ცდილობს მუდმივად ადევნოს თვალი ახალ ლიტერატურას. ამიტომ დაწესებულება სიამოვენბით გაითვალისწინებდა ამ რჩევას ფიზიკურად რომ არსებობდეს უახლესი წიგნები ქართულ ენაზე. ამ რეკომენდაციის საფუძველზე დაემატა 2 ინგლისურენოვანი წიგნი, თუმცა დამატებით ლიტერატურაში. ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ინტერაქტიული სწავლება პროგრამის ძალიან თვალსაჩინო მხარეა, რადგან შეუძლებელია ჟურნალისტს ასწავლო ინტერაქტიული მეთოდების გარეშე, ამიტომ ეს რეკომენდაცია ცოტა დამაბნეველია. ასევე, ციფრული ჟურნალისტიკის ცალკე კომპონენტი წარმოდგენილია მინიმუმ 2 საგანში, როგორც მხოლოდ ციფრული ჟურნალისტიკა, ეს არის „მედიაპროდუქტის პოზიციონირება სოციალურ ქსელებში“, სადაც სრუდენტები სწავლობენ როგორ მიაწოდონ ერთიდაიმავე პროდუქტი სხვადასხვა პლათფორმის მომხმარებელს.
ანა გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ არგუმენტაცია დაფუძნებულია ბენჩამრკინგის დოკუმენტზე, რომელიც არის ანალოგიური დოკუმენტის ანალიზი, ეს წარმოდგენილიც იყო დოკუმენტაციაში და ანალოგიური პროგრამების ანალიზის დროს გაკეთდა ანალიზი როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო პროგრამების.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:37
დასრულების დრო: 15:18

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 25 დეკემბერს.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 25 დეკემბრის 15:20 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა